

საქართველოს პარლამენტი

ინფორმაცია და სტატისტიკური ანგარიში
დოკუმენტბრუნვისა და მოქალაქეთა მიღების შესახებ

(01.01.2017 - 31.12.2017)

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საემისწარმოების დეპარტამენტი

ინფორმაცია

დოკუმენტბრუნვისა და მოქალაქეთა მიღების შესახებ (01.01.2017–31.12.2017)

2017 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს პარლამენტის აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტის დოკუმენტბრუნვამ მოიცვა 67289 დოკუმენტი, მათ შორის: შემოსული – 25545, შიდა – 21951, გასული – 15449, სამართლებრივი აქტი – 4344. 11578 განცხადება შემოტანილია მოქალაქეების მიერ. 13967 გზავნილი მიღებულია სხვადასხვა ორგანიზაციიდან. მათგან 7955-ზე მეტი წერილი არის პასუხი პარლამენტიდან გაგზავნილ კორესპონდენციაზე.

შემოსული კორესპონდენციის უმრავლესობა (6200-ზე მეტი განცხადება) ეხება ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლებრივ საკითხებს. ამ განცხადებების ავტორები არიან მსჯავრდებულები და მათი ახლობლები, რომლებიც ითხოვენ სისხლის სამართლის საქმეების გადასინჯვას, შეწყალებას, საქმეთა ხელახალ გამოძიებას, დარღვეული უფლებების დაცვას და სამართლიანობის აღდგენას.

დაახლოებით 3400 განცხადება არის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პრობლემების შესახებ. მათი ავტორები ითხოვენ დახმარებას მკურნალობაში, ოპერაციების ხარჯების ანაზღაურებასა და მედიკამენტების შესაძენი თანხების დაფინანსებაში. 390-მდე განცხადების ავტორი ითხოვს დასაქმებას.

260-ზე მეტი განცხადება ეხება განათლების სფეროს საკითხებს.

550-მდე განცხადება არის ინფრასტრუქტურული პრობლემების შესახებ.

600-ზე მეტი განცხადება შეიცავს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას.

მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილია საკანონმდებლო წინადადებები და პეტიციები, აგრეთვე მოსაზრებები და შენიშვნები საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით.

პარლამენტში შემოსული წერილობითი მიმართვების უმრავლესობა განხილულია და მათზე მოხდენილია რეაგირება. განცხადებების უმეტესობა სათანადო შესწავლის შემდეგ გადაგზავნილია შესაბამის სტრუქტურებში. დაახლოებით 9000 განცხადებაზე გაცემულია წერილობითი პასუხი, ხოლო 6000-ზე მეტ განცხადებაზე რეაგირება არის სხვა სახის, წერილობითი პასუხის გარეშე. 175 განცხადება განხილვის პროცესშია. კორესპონდენციის ნაწილი (მოსაზრებები, წინადადებები, მაღლობები, მილოცვები და სხვა), თემატიკიდან გამომდინარე, მიღებულია ცნობად. საქმისწარმოების დეპარტამენტის მიერ მიღებულია და ადრესატებისთვის გადაცემულია მნიშვნელოვანი რაოდენობის არარეგისტრირებადი კორესპონდენცია (ჟურნალ-გაზეთები, ბროშურები, საჩუქრები, მოსაწვევები და სხვა).

მოქალაქეთა საზოგადოებრივი მისაღები სისტემატურად ახორციელებს მოქალაქეების მიღებასა და სატელეფონო მომსახურებას. 12500-ზე მეტ მოქალაქეს გაეწია საინფორმაციო მომსახურება და ორგანიზებულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრებთან შეხვედრები. ამ შეხვედრებში მონაწილეობდნენ პარლამენტის აპარატის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები.

საქმისწარმოების დეპარტამენტი პარლამენტის აპარატის სტრუქტურული ერთეულების საქმისწარმოებაზე გაპროცენებულ თანამშრომლებთან ერთად ყოველდღიურად ამუშავებს დოკუმენტბრუნვისა და მოქალაქეთა მიღების შესახებ ინფორმაციას და სტატისტიკურ მონაცემებს.

საქმისწარმოების დეპარტამენტის არქივის მიერ სკანირებულია 1997–2003 წლების 595 სხდომის დოკუმენტები (პარლამენტის ბიუროს სხდომების ოქმები, პლენარული სხდომების სტენოგრამები და სხვა დოკუმენტაცია). აკინძულია და მყარ ყდაში ჩასმულია 375 ტომი საქმე. დასამუშავებლად მიღებულია 1239 პირადი საქმე. მათგან 840-ის დამუშავება დასრულებულია.

მუდმივი შენახვისთვის დამუშავებულია და ეროვნული არქივისთვის გადაცემულია 1995–2003 წლების პარლამენტის თავმჯდომარის სამდივნოს 301 ტომი საქმე. დამუშავებულია და გადასაცემად გამზადებულია 2003–2008 წლების პარლამენტის თავმჯდომარის სამდივნოს 431 ტომი საქმე. მიღებულია 180 მიმართვა საარქივო მომსახურების შესახებ.


საქართველოს პარლამენტის აპარატის

საქმისწარმოების დეპარტამენტი




2017 წლის სტატისტიკური ანგარიში

რეგისტრირებულია 67289 დოკუმენტი. აქედან 25545 - შემოსული, 15449 - გასული, 21951 შიდა ბრუნვის დოკუმენტაცია და 4344 სამართლებრივი აქტი.



- შემოსული კორესპონდენცია
- გასული კორესპონდენცია
- შიდა დოკუმენტბრუნვა
- სამართლებრივი აქტები


შემოსული კორესპონდენციიდან რეაგირებულია 15232. პასუხებმა, მოსაზრებებმა და ინფორმაციამ შეადგინა 10138 ერთეული. განხილვის პროცესშია




- რეაგირებულია
- პასუხები, მოსაზრებები, ინფორმაცია
- შეუსრულებელია

თავმჯდომარე, სპიკერატი, აპარატი - 16445


შემოსული კორესპონდენციის თემატიკა




დოკუმენტრუნვა კომიტეტების მიხედვით



დოკუმენტრუნვა ფრაქციების მიხედვით




მაჟორიტარი დეპუტატების დოკუმენტბრუნვა*




* იმ მაჟორიტარი დეპუტატების დოკუმენტბრუნვა, რომლებიც არიან კომიტეტის თავმჯდომარეები ან მათი მოადგილეები, ასახულია შესაბამისი კომიტეტების მაჩვენებლებში.

დოკუმენტბრუნვის გეოგრაფია



არქივი



- დასკანერებულია
- აკინძულია
- დასამუშავებლად მიღებულია
- დამუშავებულია
- მომსახურება გაეწია